გაზეთი ღირს

| თვე | მან. კ. | თვე | მან. კ. |
| --- | --- | --- | --- |
| 12 | 10 — | 6 | 6 — |
| 11 | 9 50 | 5 | 5 50 |
| 10 | 8 75 | 4 | 4 75 |
| 9 | 8 — | 3 | 3 50 |
| 8 | 7 25 | 2 | 2 75 |
| 7 | 6 50 | 1 | 1 50 |

ცალკე ნომერი — ერთი შაური

# ივერია

გაზეთის დასაკვეთად და კერძო განცხადებათ დასაბეჭდად უნდა მიჰმართონ: თვითონ რედაქციასა ფრეილინის ქუჩა, ბასტამოვის სახლი, № 5, ხიდეკელის საგაზეთოს, გოლოვინის პროსპექტი, წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების კანცელარიას სათავად-აზნაურო ბანკის სახლებში სასახლის ქუჩაზედ.

ფასი განცხადებისა: ჩვეულებრივი სტრიქონი რვა კაპეიკი.

1877—1888 საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი 1877—1888



გაზეთი „ივერია" პირველ ნოემბრიდამ წლის დამლევამდე ღირს 2 მ. 75 კ.

ქართული თეატრი

პარასკევს, 11 ნოემბერს,

ქართულ დრამატიულ საზოგადოების დასის მიერ წარმოდგენილი იქნება:

I

გაციყარნეთ

კომედია 3 მოქმედ., ფრანგულიდგან გადმოღ. ვ. აბაშიძეს მიერ.

**მონაწილეობას მიიღებენ:** ქ-ნნი საფაროვი-აბაშიძისა, ჩერქეზიშვილისა, თამაროვისა; ბ-ნნი აბაშიძე, ყიფიანი, აწყურელი, გამყრელიძე, მაქსიმიძე და სხვ.

ადგილების ფასი ჩვეულებრივია
დასაწყისი $7^1/_2$ საათზე


ტფილისი, 9 ნოემბერი

ჩვენ არა ერთხელ გვითქვამს, რომ ერის პირქვე დამხობა, გათახსირება, გაწყალება იქიდამ დაიწყება, როცა იგი თავისს ისტორიას ივიწყებს, როცა მას ხსოვნა ეკარგება თავისის წარსულისა, თავისის ყოფილის ცხოვრებისა. დავიწყება ისტორიისა, თავისის წარსულისა და ყოფილის ცხოვრების აღმოფხვრა ხსოვნისაგან მომასწავებელია ერის სულითა და ხორცით მოშლისა, დარღვევისა და მთლად წაწყმედისაცა. წარსული მკვიდრი საძირკველია აწმყოსი, როგორც აწმყო მომავლისა. ეს სამი სხვა-და-სხვა ხანა, სხვა-და-სხვა ჟამი ერის ცხოვრებისა ისეა ერთმანეთზედ გადაბმული, რომ ერთი უმეოროდ წარმოუდგენელი, გაუგებარი და გამოუცნობია. ამიტომაც არის ნათქვამი ერთის ბრძნისაგან, რომ აწმყო, შობილი წარსულისაგან, არის მშობელი მერმისისათ. ეს სამთა ჟამთა ერთმანეთზედ დამოკიდებულება კანონია ისეთივე შეურყეველი და გარდუვალი, როგორც ყოველივე ბუნებური კანონი.

ბევრს ერს ქვეყანაზედ სულაც არა ჰქონია წარსული, სულაც არა ჰქონია ისტორია, ესე იგი, იმისთანა ცნობიერი ცხოვრება, რომელიც გამოსახავს ხოლმე სულიერს და ხორციელს ვინაობას ერთიანის კრებულისას, მის მიზიდულებას, მის აზრს და საგანს არსებობისას, მის წმინდათა წმიდას და რომელიცა მკის თავის დროებისათვის და ამასთანავე სთეს მერმისისათვის. ამისთანა ხალხნი დღესაც ბევრნი არიან ქვეყანაზედ. ამისთანა ხალხი უბინაო კაცსა ჰგავს, რომელმაც არ იცის ვინ არის, რისთვის არის, საიდამ მოდის და სად მიდის. ამიტომაც ესეთი ხალხი ბევრით არ გამოირჩევა პირუტყვთაგან და იქნება ბევრში უკანაც ჩამოურჩება. ულმობელი კანონი ისტორიისა ამისთანა ხალხს ვერ დაინდობს ეხლანდელს დროში და სხვა უფრო ძლიერის ისტორიის მქონე ერი დაეძგერება თუ არა, თანაც გაიტანს და შეიწირავს ხოლმე ამისთანა ხალხსა.

თუ ესეთი არა, ბევრით მეტი აღარ არის იგი ერი, რომელსაც ისტორია ჰქონია და იგი ისტორია დაუვიწყნია. აღარც ამისთანა ერსა აქვს მკვიდრად მოკიდებული ფეხი არსებობისათვის საჭიროდ, იმიტომ-რომ რა იყო, ის დავიწყებული აქვს და, მაშასადამე, რა არის, არც ის იცის. არ იცის რა გაიმაგროს, რისთვის გაიწიროს თავი, რას გამოესარჩლოს და რას არა. ფეხქვეშეთიდამ გამოცლილი აქვს ის მაგარი მიწა, იგი ტინი თავის ვინაობისა, რომელსაც ისტორია შეადუღებს ხოლმე მამა-პაპათა ნაღვაწ - ნამოქმედარისაგან საშვილიშვილოდ ფეხ-მოსაკიდებლად და მოსამაგრებლად. იგი დიდება, იგი სახელი, რომელსაც ამისთანა ერი ჩაინარჩუნებს ხოლმე წარსულისაგან თავის გულში, თავის სამღერალსა და საგალობელში, თავის ზღაპრებსა და მოთხრობებში, მართალია, ბევრს ანუგეშებს ხოლმე ჭირსა და ლხინში, მაგრამ რაც დრო მიდის, ეგ ნუგეშიც, ისტორიის დავიწყებასთან ერთად, ნელდება და თანდათან ჰქრება. იმიტომ-რომ სამღერალსა და საგალობელში, ზღაპრებსა და მოთხრობებში ჩარჩენილნი სახსოვარნი, ისტორიის დავიწყების გამო, მართალს აღარა ჰგვანან და უაზრო და უსაგნო ზღაპრად-ღა გარდიქცევიან, როგორც მთქმელის, აგრეთვე გამგონის თვალშიაც. ამის გამო ამ სახსოვრებში ის ცეცხლ-მოსაკიდებელი ძალ - ღონე აღარ არის, რომელიც კაცს აატეთქებს ხოლმე მოქმედებისა და გარჯისათვის, და რაკი ეს არ არის, ყოველი ეს განძი და საუნჯე-ც-გი, წარსულისაგან გადმოცლოცვილი, ამაო და ფუჭია ერის გამხნევებისათვის, ერის დღეგრძელობისათვის.

თუნდ ეგეც არ იყოს, შვილმა უნდა იცოდეს სად და რაზედ გაჩერდა მამა, რომ იქიდამ დაიწყოს ცხოვრების უღელის წევა. შვილს უნდა გამორკვეული ჰქონდეს, რაში იყო მართალი და კარგი მისი მამა, რაში იყო შემცდარი, რა ავი შიიჩნია კეთილად, რა კეთილი— ავად, რა უმართავდა ხელს, რა აბრკოლებდა, რისთვის ირჯებოდა და მხნეობდა და რისთვის და რაში უქმობდა. უამისოდ თვითონ შვილი, რაც გინდ მხნე და გამრჯელი იყოს, უხორთუმო სპილოს ემგვანება,—დავით გურამიშვილისა არ იყოს,—და ამ წუთი-სოფელში ვერას გახდება.

ჩვენ ერს ორი ათასი წელიწადი უცხოვრია ისტორიულის ცხოვრებით. ბევრი მაგარი და ბევრიც უვარგისი ქვა ჩაუდვია იმ საძირკველში, რომელზედაც დღეს ჩვენი აწმყოა დამყარებული მერმისის ამოსაგებად. რომ მართლა ესეა, ამისი საბუთი თვალ-წინა გვაქვს. რა შეგვინახავდა ამ ერთ მუჭა ხალხს ამ ორი ათას წელიწადს ამოდენა დაუძინებელ მტრებ შორის, რად და როგორ შეგვარჩენდა ხარბობა უცხო თემთა ამ მშვენივრად შემკულს წალკოტსა, რომელსაც საქართველოს ეძახიან, თუ ჩვენს წარსულს ჩვენის ცხოვრების საძირკველში მაგარი ქვა არ ჩაედგა. ეს ერთის მხრით, მეორეს მხრით, რა ჩამოგვარჩენდა ასე უწყალოდ სხვა ქვეყნებსა ან განათლებასა, ან გამდიდრებაში, თუ ამისთანა ქვეყნის პატრონთა ცხოვრების საძირკველში მაგარ ქვასთან ერთად უვარგისი და ფხვნილი ქვაც არ ჩაეყოლებინა ჩვენს ისტორიას.

რომელია სიმაგრე ჩვენის ცხოვრებისა და რომელი სიფუყე და სისუსტე, ამას ახსნის და გვითარგმნის ხოლმე მარტო ისტორია და თუ იგი დავივიწყეთ, მაშ დაგვივიწყნია ჩვენის ცხოვრების სათავეც, ჩვენის ცხოვრების ფესვი, ჩვენის ცხოვრების საძირკველი და თუ ესეა, რადაზედ უნდა დავამყაროთ ჩვენი აწმყო, ჩვენი მერმისი? არ არის არც ერთი მხარე ჩვენის ცხოვრებისა, როგორც სხვისისაც, რომ რაიმე წარსულის ნაშთი ზედ არ შერჩენოდეს. ხოლო ამ ნაშთისა დღეს ჩვენ აღარა გაგვეგება-რა, ვიმეორებთ, იმიტომ-რომ დავიწყებული გვაქვს ჩისი ამხსნელი და გამმარტებელი ისტორია. ამიტომაც ჩვენ ბევრში უთავ-ბოლობა გვეტყობა, არაფერი საქმე არ გვიხერხდება, აქეთ და იქით ვასკდებით თავს ბრუ-დახვეულ კაცსავით და ვერა გამოგვიტანია-რა. ეს უქმად წარმავალი გარჯა ჩვენი, უქმად წარხდომილი მხნეობა და ცდა კანცს უწყვეტავს გამრჯელს და მის მაყურებელს ერს ხომ გული უტყდება, თავის თავზედ სასოება და იმედი ეკარგება და აქედამ განა დიდი მანძილი-ღაა სრულად განადგურებამდე!

გარდა ყოველ ამისა, ბევრჯელ გვითქვამს და ეხლაც განვიმეორებთ, რომ ისტორია იგი დიდებული ტა-

## ფელეტონი

### სულა და კურდღელა

**ძველი ამბავი**

გატეხილისა კაყისა
ყორანმა ლეში არ ჭამა,
გაუტეხელის კაყისა
წინ-წინ მკლავები დაჭამა.
(ხალხური)

ჩემი სულაიდ კურდღელაი ჩარგლის-კარს წვანან დაჭრილები,
ხმლით ყორნებს ულალვენ ერთმანერთსა...
(დედის ტირილი)

დღევანდლამდისა მაღლის მთის წვერზედ
ციხე-დარბაზის ნანგრევი არი.
ხავსით მორთულსა ციხის ლოდებზედ
გაუწყვეტლად ქვითინებს ქარი...
ციხის ძირს ჩაშლილ გაოხრებული
დიდი სახლ-კარი მოიყურება,
გულ-ხელ დაკრეფილს ჩამოსდის ცრემლი,
გმირთ საუბარი არ ეყურება.
ერთი სიცოცხლის მომასწავები
ციხის მფარველად მუხა მოსულა,
მაგრამ ღრუბლებთან მეზობლობითა
ელვა-მეხისგან დაობლებულა.
ჩამოლეწილი მეხისგან იგი
სდგას ვით მოზარე წინაშე ცხედრის;
სტირის, რომ მასაც მოჰკვლია ჟერი
იქცეს ფეხის მტვრად მთურგვნელის ხვედრის.
ფშაველნი თაყვანს სცემენ გმირთ სადგურს,
თუმც ახლოს ვერვინ ვერ მიუდგება;
წარსულის დროის შემოსაღებლებს
დიდი სიწმინდე იქ ეგულება.
იქ ეგულებათ ორი სამარე,
ორის გმირისა სულა-კურდღელის:
დღე-ღამ მებრძოლნი სამშობლოს მტრებთან
გამხდარან მსხვერპლად თათრების ხრმლების.
ამ წმინდა ადგილს არ ჰყავს მფარველი,
სხვა მას არსება არ აკარება;
მხოლოდ აქ ბუდობს მაცდური გველი,
ლოდებზე თბება, როცა დასცხება.
ათასში ერთხელ შავი ყორანი
მხრების ტულაშინით თავზე გადუვლის,
ერთს დაჰყრანტალებს ხმით ამაზრზენი
არე-მარესი და კაცის გულის.
ღამ-ღამ ზამთრობით, როს ბუნებასა
მოუსვენარის ძილითა სძინავს,
ყველა მცენარეთ, ცელქსა ნაკადსა,
კლდიდამ მომჩქეფარს, იმონებს, ჰყინავს.
თოვლით მოსილნი ამაყნი მთანი
უკმაყოფილოდ იცქირებიან;
მათ უბეებში არწივნი, სვავნი
გასაწყალებულნი იმალებიან;
ლეკა, მიხრწნილი სიმშილით მგელი,
მიეფარება ნანგრევთა გვერდზედ,
ღმუის გაბმითა თავ-აღებული,
ვიდრე არ მოჰკრავს რიჟრაჟი მთებზედ...
ხალხში ხმა არის: შუაღამის დროს,
როცა სიჩუმე ჰსუფევს სოფელში,
აღმოსავლეთით მოდის ვარსკვლავი
და ჩაეშვება ამ ნანგრევებში.

—

ერთი დრო იყო, ამ ადგილასა
ბრწყინავდა მკვიდრად ციხე ნაგები;
აქ ბინა ჰქონდა ორს ლომ-გულს ძმასა,
მათ აწუხებდა სოფლის ამბები.
ძმებს სიყრმიდანვე თან დაჰყოლია
სოფლისთვის შრომა, სოფლისთვის ბრძოლა,
ამიტომ კიდეც თავს მათ სწოლია
ქვეყნის მტრებისთვის ისრების სროლა.
ქორ-შავარდენნი მაღლის მთისანი
სოფლის მთებიდამ თვალს ადევნებდნენ,
ხალხის შველისთვის გულ-დამშეულნი
საჭირო ადგილს მიიჭრებოდნენ.
როგორაც მეხი ცხვრისა ფარასა,
რიყედ გაჰფენდნენ ურჯულოს ჯარებს,
გაქცეულს ხმითა დასცემდნენ ზარსა
და უციებდნენ მუხლებში ძარღვებს.
მტრისგან აღძრული ქალთა ქვითინი
და ბალღთ წივილი დაიძინებდნენ,
სადაც გაისმოდა მათ ცხენთ ბიბინი,
„ჩვენ აქ გართ მეშველად!" დაიყვირებდნენ.
რა ხალხის მგლეტი, გულ-გრილად, მტრები
დამარცხებულნი გაიბნეოდნენ,
სისხლში მოსვრილი, დაღალულები
ძმები ციხეში დაბრუნდებოდნენ.
ოფლში გაწურულთ ცხენთა ჭიხვინზე
დედა უღებდა ციხის კარებსა,
მოეველებოდა შვილებსა თავზედ,
გამოჰკითხავდა ომის ამბებსა.
სულა, კურდღელა შავად ჩაცმულნი
მძიმად ამლევენ დედას პასუხსა;
სხედან ვით მთანი ნისლით ბურვილნი,
არ აჯერებენ წვრილს ბრძოლას გულსა;
გმირებს სწყურიან მედგარი ბრძოლა,
გული იჯერონ მტრების ჟლეტითა;
ჰსრავდნენ ისეთს მტრებს, არ აქვნდესთ თრთოლა,
როს ჩაცვივიან ხმლების ქნევითა.
დედა შვილების გასართობადა
ხელში აიღებს ხმა-ტკბილს ჩონგურსა
და მაღალის ხმით ვაჟკაცურადა
დაჰმღერს, შვილები უგდებენ ყურსა:
„ომ უჩვევლსა ვაჟკაცსა*)
ომი ქორწილი ეგონა;
ხმლის ქნევა, ფარის ფარება
ფარიკაობა ეგონა;
ჯარად მოდენა ისრისა
ცით ხორხოშელა ეგონა;
გულზე დაჩნევა წყლულისა
კოცნა დედისა ეგონა;
დადება საკაცეზედა
თავის ლურჯაი ეგონა;
მიტანა სამარის კარსა
თავის სახლ-კარი ეგონა;
ჩადება სამარეშია
თავის ლოგინი ეგონა;
ზედ შავის ლოდის დადება
თავის ნაბადი ეგონა;
ქალისა, რძლისა ტირილი
იმას სიმღერა ეგონა".

—

მგზავრთა გაავდეს სოფლად ამბავი:
„შემოსეულა თათრის ჯარიო,
და უთვალავი ლაშა არაგვზედ
დასამარხავი ქართვლის მკვდარიო.
უგაცურს ჩინთში ზედ გზისა პირზედ
ჩალურ ქოხის წინ წვეს ორი მკვდარი,—
ხელ-ხანჯლიანსა დედაკაცს ყელზედ
შემოჰხვევია მუმუთა ბალღი.
აქა-იქ ტყეში წვერ-შეხავსული
დაჭრილი ბერი ღრმად ჰკვნესისო,
ტრაპეზი უდგას წინ დანგრეული,
ხელის გაპყრობით სიკვდილს ელისო.
სად მუშას, იმ დღის ნაწოვ-ნადაგსა,
წამოეწევა ურჯულოს ჯარი,
მიესევიან, სცდიან ხანჯლებსა,
მის თავით ხარობს შუბისა ტარი.
ურჯულოს უთქვამს, უნდა წავიდე
და გავამტვერო საფშავეთიო;
უნდა მთიულებს შემოვხსნა ხმალი,—
დაბლა მენა ვარ, მაღლა—ღმერთიო"...
ეს ხმა მოვიდა უწინ ამ ადგილს,
სად დღეს სიცოცხლის არს მხოლოდ კვალი.

*) ეს ლექსი ხალხურია.

ძარია, საცა უწირავს ერთიანს სულსა ერისას და საცა აღუმართავს ერს თავის დიდებულ და დიდ-ბუნებოვან კაცთა უწმინდაესნი ხატნი და ზედ წარუწერია დიდთა საქმეთა მოთხრობა, ვითა საშვილიშვილო ანდერძი. ერი, რომელსაც ახსოვს ეგ თავისის ერთიანის სულის წირვა, ეგ თავის დიდ-ბუნებოვანნი კაცნი და დიდთა საქმეთა ამბავი, კეთდება, მხნევდება, ჰგულოვნდება და თავ-მოწონებულია ყველგან, ჭირია, თუ ლხინი. ამ ღირსებათა პატრონი ერი არ დაუვარდება, არ დაუძაბუნდება არავითარს ზედმოსეულს უბედურებასა და განსაცდელსა. იგი გულ-გაუტეხელად იბრძვის, ილვწვის, გამხნევებული თავის მამა-პაპის მაგალითითა და ანდერძითა, და მარტო გულ-გაუტეხელი მებრძოლი დაინარჩუნებს ხოლმე ბურთსა და მოედანს ამ წუთი-სოფელში.

დიდ-ბუნებოვან კაცთა და სახელოვან გმირთა მაგალითებით ისტორია სწურთნის ერსა, ზრდის, და დიდებულნი საქმენი კიდევ გულს უკეთებენ მოქმედებისათვის, აქეზებენ, ამხნევებენ, თუ ნამეტნავად ის მაგალითები ერის საკუთარის ისტორიისანი არიან. ერი თავის გმირების ცხოვრებითა და მაგალითებით უნდა ჰსულდგმულობდეს, თუ მართლა ერობა ჰსურს, და აგრეც არის საცა ერი ერობს. აბა შეხედეთ სხვა ქვეყნებს ერთი იმისთანა სახელოვანი კაცი არა ჰყოლიათ, რომ მის სახსოვრად ძეგლი არა ჰქონდეთ აღმართული. რისთვის? სულ იმისთვის, რომ დიდმა თუ პატარამ დაიხსომოს თავისი სახელოვანი კაცი, სულ მუდამ თვალწინ იყოლიოს და მის მიბაძვას ეცადოს.

ეს მრავალ გვარი მნიშვნელობა ისტორიისა ერის გამოცოცხლებისათვის კარგად იცოდნენ თავის ერის გულ-შემატკივართა სხვა ქვეყნებში. იგი სახელოვანნი მამულიშვილნი ყველაზედ უწინარეს ერის გამოკეთებისათვის დავიწყებულის ისტორიის აღდგენას შეეცადნენ. გამოღვიძებამ ერისამ უგემურის ძილისაგან ყველგან აქედამ დაიწყო თავისი დასაწყისი და ამ გზით გამოფხიზლებულ ერის კეთილდღეობასა და ხელ-ახლად აღორძინებას დღეს ბევრგან ჩვენის თვალითა ვხედავთ.

ჩვენ გვწამს ესეთი სასწაული მოქმედება ისტორიისა და ამიტომაც დიდის სიხარულით ვეგებებით იმ ამბავს, რომ ჩვენს დაუღალავს მოღვაწეს ბ-ნს დ. ბაქრაძეს განუზრახავს ჩვენის დავიწყებულის ისტორიის აღდგენა და გახსენება. „ივერიაში“ დაბეჭდილის პროგრამისაგან სჩანს, რომ ბ-ნ ბაქრაძეს სანატრელის სიდიდით შემოუფარგლავს თავისი საგანი ასე, რომ, თუ პროგრამა შესრულდა, ჩვენ ქართველებს ხელთ გვექნება მთელი დიდი და ვრცელი სურათი ჩვენის აწ დავიწყებულის წარსულისა. ვისაც-კი გაეგება რამ, სიხარულით აღტაცებულნი მოუთმენლად მოელიან იმ დღეს, როცა დაიბეჭდება ეს ისტორია, ვითარცა დიდს დღესასწაულს რასმე. მართალნიც არიან. ზემოხსენებულისაგან ცხადად დაინახავს ჩვენი მკითხველი თუ,—რა დიდსა და სახელოვანს ღვაწლსა და სამსახურს სდებს ბ-ნი ბაქრაძე ჩვენს ერს, ჩვენს ქვეყანასა. კიდევ ვიტყვით, აღდგენა ისტორიისა ერის გამოცოცხლებაა, გამომხნევებაა, აწმყოს გაგება და წარმართვაა, მერმისის გამორკვევაა სიბნელისაგან. უყველ ამ დიდ სიკეთის მომნიჭებელი იქნება ჩვენი პატივცემული ბ-ნი ბაქრაძე, რომელსაც მადლობელი ერი და დავალებული ქვეყანა თავის დღეში არ დაივიწყებს თვისთა სახელოვანთა კაცთა შორის. ღმერთმა ისე კეთილად შეასრულებინოს ეს სასახელო განზრახვა, როგორც თვითონ ბ-ნ ბაქრაძეს და მისთა კეთილ-მყოფელთა ჰსურდეს და, სხვათა შორის, ჩვენცა.

## ახალი ამბავი

*** ხვალ, პარასკევს, ქართულს თეატრში იქნება წარმოდგენილი კომედია „უნდა გავეყარნეთ“, რომელიც ეკუთვნის ფრანგების გამოჩენილს დრამატურგს ვიქტ. სარდუს, „სამშობლოს“ ავტორს. ეს პიესა ქართულს სცენაზე წარმოდგენილია მხოლოდ ორჯელ (1886 წ.). ამ გზობით უმთავრესს როლებს აღასრულებენ: ქ-ნი საფაროვა-აბაშიძისა და ბ-ნი ვ. აბაშიძე, ხსენებულის პიესის მთარგმნელი.

*** მამა ლეონიდს, რომელიც დაინიშნა მართლ-მადიდებელ ქრისტიანობის აღმადგენელ საზოგადოების სკოლების ინსპექტორად, დაუთვალიერებია ეს სკოლები გორის მაზრაში. მ. ლეონიდი პირველად მისულა ვანათის სკოლაში პირველს ამ თვისას; ხალხი დიდის აღტაცებით მიჰგებებია. ყველგან მოსვლისათანავე პარაკლისს იხდიდა და მერე ხალხს დარიგებას აძლევდა და უხსნიდა, თუ რამდენად სასარგებლოა სკოლა. მ. ლეონიდი სამს ამ თთვისას ყოფილა ჯავის სკოლაში. ბევრი ნაკლულევანება აღმოუჩენია ამ სკოლებში. ჯავიდგან გამგზავრებულა ყორნისის სკოლაში, სადაც სკოლის მასწავლებელი არ დახვედრია და ეს ძალიან სწყენია ინსპექტორს.

*** ტფილისში დაიბეჭდა და გამოვიდა ახალი რუსული წიგნი, თხზულება მეორე გიმნაზიის მასწავლებლის, ბ-ნის ა. სლოვინსკისა: „Дѣтское чтенiе и игры. Ихъ связь и значенiе“, საყმაწვილო საკითხავი და სათამაშონი. მათი დამოკიდებულება ერთმანეთზე და მნიშვნელობა. წიგნი დაბეჭდილია სამოსწავლო ოლქის მზრუნველის განკარგულებით და ღირს ორი აბაზი.

*** **გორი.** მოვიდა თუ არა ამბავი, რომ ხელმწიფე იმპერატორი და იმისი უავგუსტოესი სახლობა მშვიდობით გადარჩა საშინელს განსაცდელსაო, მაშინვე პარაკლისები გადიხადეს. ხელოსანთა ნაცვლის ბ-ნ გ. პავლიევის თაოსნობით ხალხი შეიკრიბა მეიდანზე; მთელი ამქარი ბაირაღებით იყო; დიდ-ძალი ხალხი დაესწრო პარაკლისზე და ყველანი ჰკვეროობდნენ და ჰმადლობდნენ ღმერთსა ხელმწიფე იმპერატორისა და იმისის სახლობის გადარჩენას. იმ დღეს მთელს ამქარს სადილი ჰქონდა; საღამოთი მთელი ამქარი გამოიწვია თავისს სახლში ხელოსანთა უფროსმა; კარებზე იდგა მთელი ამოდენა ხალხი და მღეროდნენ, მხიარულობდნენ, სვამდნენ ღვინოსა და „ურას“ ძახილითა და ზურნაზედ ტუშის დაკვრით ადღეგრძელებდნენ ხელმწიფეს.

*** **იქიდამვე:** აქნობამდეს ხარჯის გაწერა კისრად ედო მხოლოდ ხელოსანთა უფროსს; იგი ვერა სწვდებოდა ამ საქმეს, რადგანაც ბევრი სხვა საქმე ჰქონდა და ამიტომ ითხოვა, რომ ცალკე კაცი დაენიშნათ. ხალხმა აირჩია ხარჯის მკრეფელ ნაცვლად გორის მცხოვრებელი პაატა ჯოხაძე და იმის კანდიდატად ან. ოქროპირიძე. ეს არჩევანი უკვე დაამტკიცა ტფილისის გუბერნატორმა.

*** **გორი:** ამ თთვის ათს გორში იქნება ქართული წარმოდგენა; არდგენენ შემდეგს პიესებს: „უჩინ-მაჩინის ქუდი“, „დედა და შვილი“, ილ. ჭავჭავაძისა, და „ბიძიასთან გამოხუმრება“ რ. ერისთავისა. ამ თთვეშივე, გასულისათვის, აპირებენ მეორე წარმოდგენას; მეორე წარმოდგენისათვის დანიშნულია „პეპო“, გ. სუნდუკიანცისა, და „დატრიალდა ჯარა“.

*** **იქიდამვე:** ამ თთვის 6-ს აქ ერთი სამწუხარო ამბავი მოხდა: ყმაწვილებს უქეიფნიათ სამიკიტნოში, რაღაზედაც შეხირებულან ორნი, ბ-ნი პ. თ—ძე და ნ—ი. თ—ძეს უძვრია დანა და მოუნდომნია ნ—ს დაჰკრა; შუა გადაჰლობებია ი. ჯ—ი, გაშველება და დაწყნარება სდომებია და არ გაუშვია თ—ძე ნ—ს დასაჰკრელად; მაშინ გამგელებულს თ—ძეს დაუცია დანა ფერდში ჯ—სათვის და მძიმედ დაუჭრია. გადაურჩება თუ არა ჯ—ი ამ ჭრილობას, არავინ იცის. გამოძიება სწარმოებს.

*** **ქართლი:** არავინ მოსწრებია ასე ადრე ზამთარს. წარსულის თთვის გასულს ქართლში კარგად იყო თოვლი; ბარად ფეხსა ჰფარავდა და მთის ძირებში ერთ ჩარექამდე დასდო. მთებიც ძალიან ჩამოთოვლილია. ხალხი ზამთარს მოუმზადებელი შეესწრო: არც შეშა, არც ფიჩხი, არც საფქვავი ჯერ თითქმის მესამედს არა აქვს შემზადებული; მთელი ერთი კვირა განუწყვეტლივ ითოვლა და იწვიმა; ამ ქამად ბარად აილო თოვლი და მთის ძირად-კი ისევა სდევს. ეს ორი დღეა ჰყინავს კიდეც. სოფლად სხვა დროს ამ თთვის გასვლამდე გაუდიოდათ კიდევ ნახირი ჰალა-მინდვრად, მაგრამ წელსკი საქონელი შინ დაემწყვდა.

*** **სურამი:** სურამში დროებით უნდა დააბინავონ სიღნაღის „დრუჟინა“; საკმაო სახლები ვერ უშოვნიათ, და თუ უშოვნიათ, ისიც ძალიან ძვირადა; სურამში უნდა დააბინავონ იმ დრომდე, სანამ ქ. სიღნაღში ყაზარმებს ააშენებენ. სურამში იყო ბ-ნი კაშ—სკი, კომანდირი ახალის დრუჟინისა, და სახლები დაიქირავა. ორ წლამდე იდგება აქ ეს დრუჟინაო და შემდეგ, რაკი სიღნაღში ყაზარმები გაიმართება, იქ გადავლენო.

*** **სალიანიდგან** გვწერენ: 24 ოქტომბერს დ. სალიანში გადახდილ იქმნა სამადლობელი პარაკლისი ხელმწიფე იმპერატორის და უავგუსტოესის სახლობის მშვიდობით გადარჩენის გამო. პარაკლისი გარდაიხადა მ. ა. ტ., რომელიც საგანგებოდ მოიწვია ბოჟი-პრომისლიდგან ჯევათის მაზრის უფროსმა. ეკკლესიის უქონლობის გამო სამადლობელი პარაკლისი, რომელზედაც დაესწრნენ ყველა ადგილობრივნი მოსამსახურენი და ადგილობრივი კომანდა, გადახდილ იქმნა მოედანზედ, ჯევათის მაზრის სამართველოს წინ. როდესაც მ. ა. ტ. შეიმოსა, ჯევათის მაზრის უფროსმა სთხოვა გამოეცხადებინა ხალხისთვის მიზეზი მათის შეკრებისა და იმანაც აუწყა შემდეგის სიტყვით: „ჩვენი იმედი, ჩვენი სასოება და ცხოვრება ხელმწიფე იმპერატორი, თავის უავგუსტოესის სახლობით, შემდეგ კავკასიაში მშვიდობით მოგზაურობისა და დაბრუნებისა, როგორც იუწ-

---

სულა, კურდღელა ჭკაზმვენ ცხენებსა,
ვეფხვებს უჭირავთ ბარისკე თვალი;
დაისურიან თავზე ჩაჩქანი,
წელს შაიბიან ნაკურთხი ხმალი.
ბახზედ აივსო თათრის ჯარითა
კლდით მოზღუდული არაგვის ჭალა;
არავინა სჩანს მტერს გზა შაუკრას,
ან სიტყვა უთხრას,—იხმაროს ძალა;
სულა, კურდღელა მტერს წინ დაუდგნენ
და შეუთვალეს:—უკან წადითო;
ან ჩვენ დავრჩებით სვავთა საჭმელად,
ან მათ სადილად თქვენს ლეშს გავხდითო.
ვინ მოგცემსთ ნებას, ურჯულოებო,
ფეხ ქვეშა სთელოთ ქრისტიანები?!
მაშ რისთვის გვინდა ფარი და ხმალი,
რისათვის გვსხია ტანზედ მკლავები,
თუ-კი უომრად მოგცემთ ნებასა
ჩვენს ხალხს დაადვათ ხარჯი, ბეგარი;
დააწიოკოთ წვრილი ბალღები,
ჩვენებს უქციოთ სახლი და კარი?!
თათრების ხანი განცვიფრებული
უგზავნის გმირებს კაცსა-კაცზედა:
ნუ მასხარაობთ, შინ წასვლა გიჯობსთ,
მანამ თავები გბიათ ტანზედა!
ძმებმა ხმალს ჰკითხეს, ფარი იფარეს,
ცხენების ბორგვნას მისციან ნება;
კარი გაეღო თათრის ჯარისა,
გუბე და გუბე სისხლისა დგება.
სისხლი ხმლის წვერმა ზეცას აწვიმა
მერე მიწაზე დაიწყო დენა,
როგორაც წყალმა ნადენმა კოკით.
მაშინ-კი ბელადს გაუწყდა თმენა:
„შეიპყარითო ორივ ცოცხალი“,
ალლახის რისხვით შერისხა ჯარი,
მაგრამ ვაჟკაცი თუ ვერ იმარჯვებს,
თავს არ შეირცხვენს, მტერს ჰრჩება მკვდარი.

—

სულა, კურდღელა დარჩნენ დაჭრილნი,
ველმა დაუგო ჭრელი ბარდაგი;
თავს დასტირიან გმირებს ცხენები
და ტოტით გაჰქნეს მათ გარს ალაგი.
მტერი წავიდა, დაბნელდა ჭალა,
მთებმა მაიხსნეს თავიდამ ვარდი
და, როგორც მწუხრის ჯოხს დაბჯენილნი,
ჩასცქერენ ხევებს, პირს უჩანსთ დარდი.
გამოდმით გალმა ხევნი კლდიანი
ცვალებადს ბედსა ემდურებიან.
მთებს დაეკიდნენ წვრილნი ვარსკვლავნი,
ცას მიწის ამბავს ეუბნებიან.
ისმის არაგვის მწარე ქვითინი,
ბოლო არა აქვს იმის კვნესასა,
შეურიდა ორი ბუ, საბრალონი
სწყევლიან თავის ბედის წერასა.
აგერ ლოდინით დედა დაღლილი
ვერდს მოსდგომია ციხის კარებსა,
შუბის ტარზედა სთვლემს დაყრდნობილი,
ჰხედავს სიზმარში თავის შვილებსა:
ციხის კარს მოდგნენ თათრის ცხენებით
მისი შვილები, სულა, კურდღელა,
თეთრად მოსილნი, უიარაღოდ,
და დაუძახეს დედას ნელ-ნელა:
„მშვიდობით, დედავ, მტრის სიმრავლესა
ვეღარ გაუძლო ჩვენმა მხნეობამ;
სოფლის წესითა სჩანს სიმართლეზედ
უნდა იმარჯვოს მუდამ მრეობამ.
მარტო დაჭრჩები, მტერი ბევრი გყავს,
არ დაგინდობენ მოსაკლავადა;
მანამ თმას იწნავ, ქალის ფერი გაქვს
და სული გიდგას, იყავ ქალადა.
როდესაც მტერი ჩამოესევა,
დააწიოკებს საწყალს სოფლელებს,
თუ მასთან ბრძოლა არ შეგეძლება,
გულს ნუ დაიკრებ ამაოდ ხელებს.
გადადეგ აქით, მორთე ქვითინი,
ცრემლი ადინე მთასა და ბარსა,
ჩვენიც შეესმის სამარით ბანი,
წყვდიადში მოვრთავთ გლოვას და ზარსა..
ერთი იკივლა საბრალო დედამ
და გაახილა უცებ თვალები:
გარიჟრაჟია, მაღლის მთებიდამ
ჩამოდის თავქვე ყორან-სვავები;
დედა მიჰყვება ფრინველთა გზასა,
ჰხედავს მდელოზედ, შემორტყმულს ტყითა,
მისი შვილები წვანან შამბებში
და უსხდებიან სვავნი თავითა.
უდგა ყორნებსა მათზე ყიყინა,
ამოუთხრიათ ძმათთვის თვალები
და ტანჯულთ მხსნელი დაუჭამიათ
ორის გმირისა მსხვილი მკლავები.
ხმლები, შუაზედ გადატეხილნი,
დახრულს თითებში მაგრა უპყრიათ...
რიღასთვის უნდათ, ქმნილან უგრძნობნი,
თავისი გული ხელთ არ უპყრიათ.
ვერ მოიქნევენ მადლიანს ხმალსა
ტანჯულის ხალხის დასაცველადა,
ვერ აახელენ არწივებრ თვალსა
სამშობლოს მტრის გზის გასაკვლევადა.
რაც გადაურჩა ფრინვლის ნისკარტსა,
ის უნდა ჩალპეს შავს მიწაშია;
გაუხარდება გველს და ჭიასა,
ჩასახლდებიან გმირთა გვამშია..,
მგრძნობელი გული დალპება ფუჭად,
არ აღეგზნება სიბრალულითა;
გასქდება ენა გმირების მუნჯად,
გულს ვერ აუვსებს სიხარულითა
ხალხსა, როდესაც მას მტერი ჰყლეტავს
და ცეცხლში დნება მისი სახლები:
„მტრის ჯავრს არ გაჭმევთ, ხალხო, ნუ სტირით,
მანამა გვსხია ტანზედ მკლავები“.
შემკრთალი დედა დასცქერს შვილებსა,
არ მოსდის ცრემლი, საკვირველია,
თუ ეშინიან ხალხის აზრისა
„სუსტი ყოფილა, ცრემლი სდენია!“
დედას არ ჰშვენის შვილის ტირილი,
როცა შვილს ჰხედავს ბრძოლაში მოკლულს,
უნდა უჩინოს ჭკვაში სამალი
ცრემლსა მეივანსა, თვალებში მოსულს!
საბრალო დედავ! შენ ნუ იტირებ,
გამოუჩნდება მაგათ მოზარე,
ხალხს მუდამ ახსოვს და ეხსომება
მისი მფარველი, თანა-მგრძნობარე.
აგერ უფროსს შვილს თავს დაეღირა
და გულზედ უკრებს შეჭმულს მკლავებსა,
ხელში უჭირავს ჩიქილის ტოტი,
იმითი უწმენდს ნაწიწკნს თვალებსა.
თან დასჩურჩურებს კვეთების ხმითა:
შენ გენაცვალე, იმედო სოფლის,
შენზედ დედის რძე არის ალალი,
პატრონო, მცველო, ბეჩავის, ობლის,
ჩამოღალულო, ქვეყნის გულისთვის
ღვარად მდენელო სისხლის და ოფლის.

—

ეს რა ხმა ისმის: ლიტონი მთები
თითქოს ტირიან, ის გეგონება;
აგერ გაჰხედეთ, ქალი და კაცი
დიდის ციხის ძირს ერთად გროვდება.
ხალხის შუაზედ ორი საკაცე
ძევს, ასვენია ზედ ორი მკვდარი;
თვალებ-დათხრილთა, მკლავებ-შეჭმულთა
გულზედ აწვია ნაწნავთა ჯვარი.
ქალი და კაცი იხოკენ პირსა,
მკვდრებს ევედრიან გაღვიძებასა,
მაგრამ ბუნებას გრძნობა ვერ შესცვლის,
ვერ დაუმონებს თავის ნებასა.

ვაჟა-ფშაველა

ყება დეპეშა საიმპერატორო კარის მინისტრისა, ბორკას რკინის გზის სადგურზედ მისცემია საშინელს განსაცდელს. უვნებლიედ გადურჩენია მხოლოდ უზენაესის სასწაულ-მომქმედს ძალას. მოვალეობა მოითხოვს, რომ ყოველმა ერთგულმა მამულიშვილმა შესწიროს უფალს სამადლობელი თავის ბატონის ხელმწიფე იმპერატორისა და მის სახლობის მშვიდობით გადარჩენისათვის საშინელის განსაცდელისაგან და ჩვენც შევწიროთ ღმერთს სამადლობელი ლოცვა და ვთხოვოთ, რომ იგი იყოს მფარველი ხელმწიფე იმპერატორისა და მისის უავგუსტოესის სახლობისა".

*,* იქიდამვე: მთელს ჯევათის მაზრაში მოდებულია ციებ-ცხელება; ისეთი სახლი არ არის, რომ ერთი, ან ორი კაცი არ იყოს ავად. ბევრი კიდეც იმსხვერპლა ამ ავადმყოფობამ. სიცივემ აქაც მოგვაგნო, მთელი ერთი კვირა საშინლად ციოდა, ჰქროდა ზღვის ქარი და მოჰქონდა წვიმა და თოვლის ფერფლი. წვიმამ ცოტა არ იყოს გაახარა მცხოვრებნი და გაიყვანა სახნავ-საფარცხად.

*,* **სამტრედიიდგან** გვწერენ: 7 ნოემბერს შესრულდა თერთმეტი საათი ნაშუადღევისა თუ არა, სამტრედიაში გაჩნდა ცეცხლი მეეტლების ქუჩაზედ. ცეცხლი თავდაპირველად მოეკიდა მეეტლე კოპალეიშვილების სახლებს, მაგრამ პატრონები, აგრეთვე მოყურადე ხალხი, ისე სახლს არა ნანობდნენ, როგორც იმ ხუთს ცხენს, რომლებიც შიგ იხრუკებოდნენ. ეს სურათი მეტად გულ-საკლავი იყო და მართალი უნდა მოგახსენოთ, გასაკვირველი იყო სამტრედიელების გულ-გრილობა. ისე შესცქეროდნენ ამ ამბავს, თითქო არაფერიაო. არავინ ხელი არ გაანძრია, რომ მიშველებოდა საწყალ სახლისა და ცხენების პატრონებს, რომლებიც თავ-თავის სახლებზე, მაღლა ბურულზედ, იდგნენ და ტირილით ევედრებოდნენ ხალხს: გვიშველეთ, გვიშველეთ, ქრისტიანებო, „ვედრით" წყალი მოგვაწოდეთო!" როცა სამტრედიელებს ზოგიერთებმა უთხრეს: რას შვრებით, ქრისტიანები არა ხართ, მიაშველეთ ვედრობით წყალიო, ამათ უპასუხეს: მადლობა ღმერთს, ჩვენს დუქნებამდე ვერ მოაწევსო. ამ დროს მოვიდა ბ-ნი ბოქაულიც, რომელმაც ჯიბეებში ხელები ჩაიწყო და ასე უცქეროდა ამ ამბავს. ღმერთმა უშველოს კიდევ რკინის გზის სადგურის უფროსს და დეპოს უფროსს, რომლებმაც დაუყოვნებლივ მოაყენეს ლოკომოტივი ცეცხლის საქრობის მაშინით და ამ ნაირად გადაარჩინეს მახლობელი სახლები. როგორც ამბობენ, ორმოცი თუმანი იზარალეს თურმე კოპალეიშვილებმა.

სამტრედიაში ცეცხლი იშვიათი არ არის და ამიტომ საკვირველია, რომ აქაური ვაჭრები არა სცდილობენ ცეცხლის საქრობი მოწყობილობა შეიძინონ, მით უფრო, რომ ასეთი მოწყობილობა მაინცა-და-მაინც ძვირად არ დაუჯდებათ.

*,* 8 ნოემბერს, დილის ათს საათზე, მეორე განყოფილებაში, სასტუმრო „კავკასში", რევოლვერით თავი მოუკლავს რუმინიის ქვეშევრდომს ემანუილ მანს. მანის გვამი მიხეილის საავადმყოფოში გაუგზავნიათ. რისთვის მოიკლა თავი ამ კაცმა, არავინ იცის. გამოძიებს სწარმოებს.

## ბაგრატის ტაძრის აღდგენა

### ქუთაისს.

საქართველოს ისტორიულს ცხოვრებაში ბევრი რამ სამაგალითო ძეგლი აგებულა; იმათ ნაშთებს დიდი ნიჭი და ხელი ატყვიათ, მაგრამ ქუთაისის ბაგრატის ტაძარი, როგორც ამბობენ არქეოლოგოსნი, იშვიათი რამ არის, ვითარცა ნაწარმოები ხუროთ-მოძღვრებისა.

ღვთის-მშობლის მიძინების სახელზე აგებულს ტაძარს ხალხი დღეს მარტო „ყოვლად წმინდას" ეძახის, მაგრამ თითონ ტაძრის ბედი-კი დაუდევრობას ფეხით გაუთელია. თითქმის ჩვენს დროებამდე ცოცხლად მოიტანა თავი ჩვენის დიდების მოამბემ და ბედად თურმე ის სწერებოდა, რომ ჩვენ თვალთა წინ შეჰმუსვროდა თავ-გუმბათი. თუმცა ტაძარი, უკანასკნელის ომების დროს, მეტად დაზიანდა, მაგრამ, ჩვენში რომ ქოფილიყო ჩვენ მამა-პაპათა კეთილ-მსახურებისა და სიქველის მცირეოდენი ნაწილი მაინც, თავს არ დაგვენგრეოდა დიდების ძეგლი. დღესაც მრავალ მოხუცთა ახსოვსთ და მწუხარებით იგონებენ იმ ნეტარს დროს, როცა იგი ჯერ კიდევ შეურყეველი იყო.

დიდი ხანია, რაც მეცნიერ-არქეოლოგოსთა ყურადღება მიიქცია ბაგრატის ტაძარმა, მათგან ჯეროვნად იქმნა დაფასებული, როგორც იშვიათი ნამოქმედარი ხუროთ-მოძღვრებისა. რუსეთის არქეოლოგიურის საზოგადოების თავ-მჯდომარე, გრაფ უვაროვის მეუღლე, იმას საქართველოს დიდების ძვირფას განძადა სთვლის, ისეა იმისგან გაკვირვებული, მაგრამ ჩვენ იქამდე დაუდევრები ვართ, რომ ვინგინდარა იჯარადარს ნებას ვაძლევთ იმ ტაძრის ქვები გამოიყენოს სასულიერო სკოლის საჭიროებისთვის. იმათი გამოყენება ხომ პირველი არ არის! რამდენი ახლო-მახლო მოსახლკარეა, რომელთ გალავნებში ხშირად შეხვდებით დიდებულ ტაძრის ჩუქურთმიანს ქვებს...

მართალი რომ ვსთქვით, ჩვენს სამღვდელოებაში იშვიათად მოიპოვებიან იმისთანა მამანი, რომელნიც სცდილობენ ისტორიულის ძეგლის დაცვას, თუ განახლებას. ეს მეტად სამწუხაროა, მით უმეტეს, რომ ის, ვინც მოვალეა, საქმეს გარეწრად ეკიდება. სამღვდელოება უნდა გვინერგავდეს ძველ ქრისტიანობის ძეგლთა სიყვარულს და იყოს ამ საქმეში წინამორბედი.

იმერეთის ეპისკოპოსი ყოვლად უსამღვდელოესი გაბრიელი დიდი ნიჭიერი და ღრმად განათლებული მოძღვარია, და ეჭვსაც-კი ვერ ვკადრებთ, რომ შემეცნებული არა ჰქონდეს ის დიდი საქმე, რომელიც ჩვენის წერილის საგნად დაენიშნეთ. მაგრამ ჩვენის საყვარელის მღვდელ-მთავრის ყურადღება სულ სხვა საქმეს ჰქონდა შეპყრობილი, ქრისტიანობის ძეგლთა განახლებისაზედ არა ნაკლების მნიშვნელობისას. იგი იყო მოწადინებული, რომ დასავლეთის საქართველოს სამღვდელოების შვილთათვის სასულიერო სემინარია დაეარსებინა, და კიდეც შეჰკრიბა ამისათვის საჭირო ფული, მაგრამ ამაოდ დაშვრა, მისმა კეთილშობილურმა განზრახვამ მისგან დამოუკიდებელ გარემოებათა გამო ხორცი ვერ შეისხა, და ფული უკანვე დაუბრუნა სამღვდელოებას.

დღეს ჩვენის უსაყვარლესის მღვდელმთავრის მწყემსებრივის მოღვაწეობის ნივთიერი საბუთი, მისის სახელის უკვდავ-მყოფელი არა რა გვრჩება; ჩვენ არ გვეყოფა მისი ბრძნული საქმიანი ქადაგებანი, მჭევრის მკაფიო ენითა თქმულნი. იგი იმდენად დიდბუნებიანი და მხნე ადამიანია, რომ თუ მოინდომებს და რასმე საშვილიშვილო საქმეს შეუდგება, უეჭველად კიდეც გაიტანს ბოლომდე. აი რა გვაქვს სათქმელი: თვითონ ბაგრატის შესანიშნავი ტაძარი იმდენად შემუსვრილი არ არის, რომ მისი აღდგენა არ შეიძლებოდეს და არ განახლდეს. ტაძრის შიგნით და გარეთ მიწაში ბლომად იპოვება ტაძრის ჩამარხული ჩუქურთმიანი ქვები. ამ უკანასკნელ წლებში გუმბათის უმთავრესი ჩუქურთმა იპოვნეს, ხომლის ჩამოსაკიდი მოკაზმულობა, ტაძრის შუა-გულ მიწაში ჩაფლული. მასალა იქვე არის მიყრილ-მოყრილი, მხოლოდ საჭიროა მხნედ საქმის შედგომა, ტაძრის მნიშვნელობისა და მისის განახლების აზრის გავრცელება ხალხში და მერე ფულის შეკრება; შესაწირავს შეიძლება მასალაც იქნეს. იმედი გვაქვს, უწმინდესი სინოდი ლოცვა-კურთხევას წაუმძღვარებს ამ კეთილს და საღვთო საქმეს. ამასთანვე ყოვლად უსამღვდელოესს გაბრიელსაც იმედი უნდა ჰქონდეს, რომ მრთლად აღმოსავლეთ-დასავლეთს საქართველოის ერობა და ბერობა, ეროვნებისა, სარწმუნოებისა და მიმართულების განურჩევლად თანაგრძნობას გამოუჩენენ ამ დიდებულს საშვილიშვილო საქმეს. ამას გარდა თვითონ რუსეთის საისტორიო და საარქეოლოგიო საზოგადოებანი და თვითონ მართლ-მადიდებელი ერიც დიდის თანაგრძნობით შეხვდება ამ საქმეს, როგორც არა ერთხელ დაუმტკიცებია თვით საქმით; მხოლოდ საჭიროა განახლებულს ტაძარს უკანვე დაუბრუნდნენ თვისნი სიწმინდენი: გელათს მყოფი «ვედრების ღვთის მშობლის» ხატი, სადაც ჰხატია თვითონ ბაგრატი, მუხლ-მოდრეკით პორფიროსანი, და ორი დიდი ხატიც ღვთისმშობლისა ქუთაისის საკრებულო ეკკლესიაში ჩამოსვენებული ლევაშოვის დროს, რომელთაგან ერთი უფრო ძველია „ყრმის ხელთ-მპყრობელი" და მეორე-კი არის „მიძინებისა", დავით წერეთლის იმერეთის მიტროპოლიტისაგან შეჭედილი და შემკული.

ბაგრატის დიდებულის ტაძრის აღდგენითა და განახლებით ჩვენი სასიქადულო მწყემს-მთავარი თვითონაც აიგებს უკვდავების ძეგლს.

ლიხთ-ამერი

## წერილი რედაქციის მიმართ

ნება მიბოძეთ თქვენის გაზეთის საშუალებით გამოვუცხადო ახალქალაქის სოფლის სკოლის მასწავლებელს ნიკო ხუციშვილს, რომ თუ თოთხმეტ ნოემბერს სამედიატორო სამართლის წესით არ გამცემს პასუხს იმ წერილების გამო, რომლებითაც ტყუილად ბრალი დამდო და ცილი დამწამა გაზეთს „ივერიაში", მაშინ იძულებული ვიქნები ჩვეულებრივს სასამართლოს მივმართო.

ნ. თარხნიშვილი

# უცხოეთი

**ჩრდილო-ამერიკა.** ამ შემოდგომაზე ჩრდილო-ამერიკის შეერთებულს შტატებში დანიშნული იყო რესპუბლიკის პრეზიდენტის არჩევანები. კანდიდატებად ორი კაცი იყო დასახელებული. ერთი უწინდელი პრეზიდენტი გროვერ კლიევლანდი და მეორე—გარრისონი. კლიევლანდი დემოკრატების დასის წარმომადგენელი იყო, ხოლო გარრისონი—რესპუბლიკელთა დასისა. ეს ორი დიდი დასია სულ ამერიკაში, თუმცა ამ ორს დასსაც დასებად გასაყოფი და სადავიდარაბო ერთმანეთში საიმისო არა აქვს-რა. როგორც ერთი დასი, აგრეთვე მეორე ერთ ნაირის თვალით უცქერის თავისის ქვეყანას და თავისს მოვალეობას საზოგადოებისა და ერის წინაშე. გარჩევა რამე თუ არის ამ ორს დასს შუა, უფრო ზნეობის შესახებ არის. რესპუბლიკელნი დაურიდებლად ეტანებიან ქვეყნის გამგეობის საქმეს, როგორც სარფასა და გამოსაყენებელს კერძო ინტერესებისათვის, თავისს დასის წარმომადგენლების ჯიბის გასასუქებლად დიდჯამაგირიანის ადგილების დაჭერითა. ამას გარდა ეს დასი არც მექრთამეობას ერიდება და გულ-ახდილის სიწრფოებით და მოურიდებლობით ჰხმარობს, თუ დასჭირდა, ქრთამს, მოსყიდვას და სხვა ამ გვარს ქვენა ღონისძიებას. დემოკრატების დასი-კი ამ შემთხვევაში უფრო მორიდებულია და მოუსყიდველის პატიოსნებისა, თუმცა ამათაც ზნედა სჭირთ, გაბატონების უმალვე, თავიანთის მომხრეებით ავსება ადმინისტრაციისა და სხვა მოხელეთა ადგილებისა. დემოკრატების მოთავე დიდად პატიოსანი კაცია, დიდი უარ-მყოფელი ქრთამისა და მომხრე ზნეობრივის სიწმინდისა. იმიტომ გაიმარჯვა კიდეც ამ კაცმა ამ ოთხის წლის წინად არჩევანებზე, რომ ამ კაცს ქვეყანა პატიოსნებით სავსე კაცად ჰსახავდა, ის ქვეყანა, რომელსაც თავი მოაბეზრა რესპუბლიკელთა მექრთამეობამ, დაურიდებლობამ, ადგილებისა და ჯამაგირიანის თანამდებობის სყიდვა-გასყიდვამ. მაშინ გამოვიდნენ დემოკრატები და დაასახელეს თავისს საპრეზიდენტო კანდიდატად ნიუ-იორკის გუბერნატორი, კაცი ყოვლად პატიოსანი, მოუსყიდველი, დინჯი, დარბაისელი და თან მტკიცე ხასიათებისა. მაშინ-კი ადვილად გაიმარჯვეს დემოკრატებმაცა და იმათმა კანდიდატმაც, გროვერ კლიევლანდმა. ეს გამარჯვება ყველასათვის სასურველი და სანატრელიც იყო. მთელი ქვეყნიერობა, მთელი კაცობრიობა სიხარულით მიეგება ამ გამარჯვებას. „მაგ გამარჯვებასაო,—ამბობდნენ მაშინ ყველა მოკეთენი კაცობრიობისანი, ყველა გონიერნი სახელმწიფო კაცნი;—ისე უნდა ვუყუროთ, როგორც გამარჯვებას პატიოსნებისას, ნამუსისას, რიგიანობისასაო". გავიდა მას უკან ოთხი წელიწადი და ახალს არჩევანებზე კვლავ დიდი ბრძოლა ასტეხეს ამერიკის ორთავე დასთა. ამ ხანად გამარჯვება რესპუბლიკელებისაკენ არის და გარრისონი იქმნა საბოლოოდ არჩეული პრეზიდენტად. რას დაჰპირდა ერს, ამომრჩევლებს ახალი პრეზიდენტი და იმისი დასი? რითი მოიგეს გული ქვეყნისა რესპუბლიკელებმა? უფრო იმითი, რომ ჩვენ მფარველობას გაუწევთ კვლავინდებურად ჩვენის ქვეყნის მრეწველობას, ალებ მიცემას და არც შევამცირებთ ბაჟს, რომელიც ადევს უცხოეთიდამ საჩვენოში შემოსატანს საქონელსაო. აი მიზეზი იმისი, თუ რად არის ქვეყნის თანაგრძნობა უფრო რესპუბლიკელებისაკენ, ვიდრე დემოკრატებისაკენ. მაგრამ სწორედ ასე კია საქმე? ეს ცოტა საეჭვოა. თუ მართლა ქვეყნისათვის, მუშა ხალხისათვის საჭირო და სასარგებლო იყოს დიდი ბაჟები, განა თვით დემოკრატები იმის შემცირებაზედ ხმას ამოიღებდნენ? რასაკვირველია, არას იტყოდნენ ამაზე. მაგრამ საქმე აი როგორ არის: 1863 წელს ამერიკას შინ ომი და არეულობა ჰქონდა თავისს შორისვე. ამ ომმა და არეულობამ ძრიელ დააზარალა ერი და ქვეყანა, შეასუსტა და შეჰპერტყა ხაზინის ჯიბე-უბეები. საქმე იქამდე მივიდა, რომ ვალი დაედო დიდი შტატებს და მთავრობა იძულებული იყო ოქრო-ვერცხლის სანაცვლოდ ქაღალდის ფულის ხმარება შემოეღო. მთავრობა ადგა და ბაჟი შემოიღო უცხოეთიდამ შემოსატანს საქონელზე. მთავრობას იმედი ჰქონდა, რომ ეს ბაჟი მხნესა, გამბედავსა, სიმდიდრის შეძენის მსურველს ერს ვერას დააკლებდა, საშინაო მრეწველობასა და ალებ-მიცემასაც არას დაუშლიდა და ხაზინას-კი დიდი შემოსავალი ექმნებოდა ბაჟისაგან. მთავრობის იმედი გამართლდა. შემოსავალი დიდი შემოსდიოდა ბაჟისა, ქვეყანა ამის მიზეზით შევიწროებასაც არა ჰგრძნობდა და მაინც დიდის სიამოვნებით ყიდულობდა მრავლად უცხო მრეწველობის საქონელსა. თავის მრეწველობას გაძლიერებასაც მისდევდა თან. ყოველ ამ მიზეზისა გამო ისე გაუმრავლდა შემოსავალი ხაზინას, რომ თავნიც მალე გადასწყვიტა ვალისა და სარგებელიცა. თანდათან იმდენი ფული შეგროვდა მთავრობის ხელში, რომ აღარც-კი იცოდა, რა ექმნა აუარებელის ფულისათვის, ოქროსა და ვერცხლის ზვინებისათვის. ცხადი იყო, რომ მთავრობას უნდა ეზრუნა სახელმწიფო გადასახადის შემცირებისათვისაცა და ბაჟის მოსპობაზედაც. კლიევლანდის მთავრობაც შეუდგა ამაზე ზრუნვას. მაგრამ რესპუბლიკელებმა დაიხვიეს ხელზე ბაჟის შემცირების საქმე და გამოვიდნენ დემოკრატების მოწინაღმდეგედ და ბაჟის დასაცველად იმ გვარადვე, როგორც აქამდე იყოვო. ასეა დღეს საქმე და ვნახოთ, რა სიკეთეს შესძენენ ქვეყანას რესპუბლიკელები, იმათი მართვა-ბატონობა და მათ მიერ არჩეული ახალი პრეზიდენტი ბ-ნი გარრისონი.

## წვრილი ამბები

საფრანგეთში კვლავ ამტყდარა ლაპარაკი იმის შესახებ, რომ დამნაშავეთ, დარჩობისა და თავის მოკვეთის მაგიერ, ელექტრონის შემწეობით მოვუსპოთ ხოლმე სიცოცხლეო. პირველად ამის შესახებ ბაასი ნიუ-იორკში ასტეხეს და თუ ვაშინგტონის კონგრესმა მოიწონა ეს აზრი, მაშინ მთელს ამერიკის შეერთებულს შტატებში შემოღებული იქმნება ელექტრონით სიცოცხლის მოსპობა იმათი, ვისაც-კი სიკვდილით დასჯა აქვს გარდაწყვეტილი სასამართლოს მიერ. ამ აზრს დიდი წინააღმდეგნი გაუხდნენ საფრანგეთში ზოგიერთნი იმ საბაბით, რომ დარჩობა კარგია, საზოგადოებაზე ზნეობრივი მოქმედება აქვს და ამ მხრივ-კი ელექტრონი არ ივარგებსო. ამერიკის ფიზიოლოგები ამბობენ, რომ თვით ბრაუნ-სეკვარდი ელექტრონის შემწეობით დასჯას არჩევს დამნაშავეთას, სარჩობელისა და მახვილის ხმარებასაო. ბრაუნ-სეკვარდის აზრით, ელექტრონი სჯობია, რადგან ადამიანს მსწრაფლად ჰკლავს, თვალის ერთს დახამხამებაში, ისე ჩქარად, რომ სიკვდილს სრულიად არა ჰგრძნობს დასჯილი. ხოლო გილიოტინასა

და სარჩობელას შემდეგ-კი გრძნობა ტკივილისა დასჯილს მაშინვე არ უქარდება. თავის მოკვეთისა და დარჩობის აღსრულებაში მოსაყვანად ერთი წუთი მაინც არის საჭირო, ხოლო ელექტრონის მოხმარების დროს-კი ეს ერთი წუთიც საჭირო არ არის. ამერიკელები, რომელთა ქვეყანაშიაც, როგორც ინგლისს, სარჩობელა ჰმოქმედებს, ამბობენ, რომ დარჩობილი კაცი დარჩობის შემდეგაც იტანჯება და ასეთი ტანჯვა ადამიანიშვილისა-კი კაცობრიობას ცოდვად უნდა ეთვლებოდესო.

— ამერიკაში მოუგონიათ ისეთი კუბო, რომელშიაც მუსიკაა მოთავსებული და უკრავს. მუსიკის მანქანა კუბოს ძირშია გაკეთებული და სამგლოვიარო მარშს უკრავს. მეტად მწუხარე და სევდიანს ხმებს მაშინ გამოსცემს თურმე ეს ახირებული მუსიკა, როცა კუბოს სამარეში უშვებენ.

— „Neue Allgemeine Zeitung“-ი ამბობს, რომ ამას წინად ამერიკაშივე, ქალაქს დეტროაში, განუსამართლებიათ ვილაც ბრაუნი მრავალ-ცოლობისათვის. ბრალდებული დაუპატიმრებიათ იმის გამო, რომ 32-ჯერ შეურთავს ცოლი და დაქორწინებულა. ეს 32 ცოლი ცოცხალია თურმე და სცხოვრებენ ამერიკის სხვა-და-სხვა შტატებსა და კანადაში.

— ამერიკაშივე დაარსებულია საზოგადოება სიმთვრალისაგან თავ-შეკავებისა და ერში სიმთვრალის მოსპობისა. ამ საზოგადოების ერთს წევრთაგანს ამას წინად სიტყვა წარმოუთქვამს სიმთვრალის წინააღმდეგ. ხანგრძლივის ლაპარაკის შემდეგ ხმა წასვლია და წყალი მოუთხოვნია ყელის გასასველებლად. იქ დამსწრეთაგანი ვილაც ხუმარა გასულა გარეთ, დუქანში რძე უყიდნია ცოტა, შიგ ნახევარზე მეტი არაყი ჩაუსხავს და მიუწოდებია სიტყვის წარმომთქმელისათვის. მქადაგებელს ხარბად გამოუცლია ჭიქა, სიამოვნებისაგან ტუჩებიც-კი მოულოკნია ენით და უთქვამს: „რა მშვენიერება რამ არის! ნეტა ვიცოდე, რად არიან ის ძროხები, რომელნიც ასეთს მშვენიერს რძეს იწველიანო!“

## დეპეშა

8 ნოემბერი

**პეტერბურგი.** სახელმწიფო საბჭოში შეტანილია პროექტი. ამ პროექტის ძალით, სასამართლოს თავ-მჯდომარეს შეუძლიან ამ თანამდებობაში დარჩეს, სანამ 65 წელიწადი შეუსრულდება; სასამართლოს წევრთა, სანამ 60 წელიწადი შეუსრულდებათ და გამომძიებელს-კი 55 წლამდე.

პეტერბურგის ბირჟა, 8 ნოემბ.

| | მყიდველისა. მან. კ. | გამყიდველისა. მან. კ. | გარიგებისა. მან. კ. |
|---|---|---|---|
| ხუთ-მანათიანი ოქრო . | — „ | — „ | 7 72 |
| ტამოჟნის კუპონები . . | — „ | — „ | 154½ |
| მანათიანი ვერცხლის ფული . . . . | 1 18 | — „ | — „ |
| 5% პირველის შინაგანის სესხის მომგები ბილეთი . . . . . | — „ | — „ | 272 |
| —მეორისა . . . . . | — „ | — „ | 242 |
| გირავნობის ფურცელნი ტფილისის ბანკისა . | — „ | — „ | — „ |
| ქუთაისის ბანკისა . . . | — „ | — „ | — „ |
| ტფილისის საურთიერთო ნდობის საზოგადოებისა . . . . . | — „ | — „ | — „ |

### საკალენდარო ცნობანი

ქრისტეს აქეთ ჩყპჱ (1888) წელიწადია.
ქვეყნის შექმნიდამ 7396.
ძველი ინდიქტიონი მე-14,
ამისი ქორონიკონი—უპ=480 წელია. დაიწყო 1408 წ. და თავდება 1940 წ.
ახალი ინდიქტიონი მე-4,
ამისი ქორონიკონი—მდ=44 წელიწადია. დაიწყო 1844 წ. და თავდება 2376 წ.
1888 წლის ზედ-ნადებია—25.
ნოემბერი 30 დღით არის

10 დღე ხუთშაბათი. მოციქ. ოლიმპისა, როდიონისა, სოსიპატრასი და სხ. თავ. კონსტანტინესი. კათოლ. ანდრია აველინელისა. სომეხ. წმ. გურიასი, სიმონისა და სხ. მაჰმად. მე-18 რიცხვი თთვისა რებიულ-ეველისა, 1306 წ. ჰიჯრისა.—ჭეშმარიტი შუა-დღე 11—46. ტფილისში მზე ამოდის 6—57, ჩადის 4—35. მთვარე 19 დღისაა.

11 დღე პარასკევი. წმ. მოწ. ვიქტორისა და მაქსიმესი. კათოლ. ვალენსისა. სომეხ. მარხვაა. მაჰმად. მე-19 რიცხვი თთვისა რები-ულ-ეველისა, 1306 წ. ჰიჯრისა.—ჭეშმარიტი შუა-დღე 11—46. ტფილისში მზე ამოდის 6—58, ჩადის 4—34. მთვარე 20 დღისაა.

### გამოსადეგი ცნობანი

ნიხრი

1 ნოემბრიდამ 1 დეკემბრამდე.

თეთრი პური რუსული 1 გირ. . 5 კაპ.
პური 1-ის ხარისხისა. . 3½ „
„ 2 „ 3 „
თონის წითელი პური 1-ის ხარის. 5 „
„ „ 2— 4 „
„ „ 3 . 3½ „
ჯვარის მამის პურის ლავაში
1-ლის ხარისხისა . . 5 „
მე-2 ხარისხისა . . 4 „
მე-3 — . . . „
ძროხის ხორცი 1-ლის ხარისხისა. 8 „
„ 2 „ 7 „
სუკი . . . . 14 „
ცხვრის ხორცი 1-ლის ხარისხისა. 8 „
ღორის ხორცი . . . 8 „
„ 2 „ 7 „

### მიმოსვლა ცეცხლის გემებისა შავს ზღვაზე

ბათუმიდამ გადის: ხუთშაბათობით ნაშუადღევის 4 საათზედ მოკლე გზით და ნოვოროსიისკსა და კერჩში შეივლის.

შაბათობით საღამოს 8 საათზე შორის გზით (ყველა ნავთ-სადგურებში შეივლის).

კვირაობით საღამოთი, საზღვარ-გარეთ, სტამბოლამდე მიდის.

ბათუმში მოდის ოდესიდამ: სამშაბათობით შუა-ღამისას შორის გზით.

პარასკევობით დილით ოდესიდამ მოკლეს გზით (კერჩსა და ნოვოროსიისკში შესვლით).

შაბათობით დილით სტამბოლიდამ.

ფოთიდამ ბათუმში მოდის: სამ-შაბათობით—იმის შემდეგ, როცა სოხუმიდამ მოდის გემი შორის გზითე ხუთშაბათობით—დილის 9 საათზე და მიასწრობს მოკლეს გზით მოსიარულ. კავკასიისა და ყირიმის გემსა.

შაბათობით დილის 9 საათზე და მიასწრობს შორის გზით მოსიარულე კავკასია-ყირიმისა და რუმელია-ანატოლიისკენ წამსვლელს გემებს.

ამას გარდა ყოველ-კვირა ფოთში მოდიან ოდესიდამ და ყირიმ-კავკასიის ნავთ-სადგურიდამ გადაწყვეტილს კადაზე გემები.

### მიმოსვლა რკინის გზის

ბათუმსა და ტფილისს შუა

| სტანციები | მოდის საათი. | მოდის წამი. | გადის საათი. | გადის წამი. | სტანციები | მოდის საათი. | მოდის წამი. | გადის საათი. | გადის წამი. |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | დ | ი | ლ | ი თ | | დ | ი | ლ | ი თ |
| ტფილისი . | — | — | 8 | 49 | ბათუმი . . | — | — | 8 | 4 |
| ავჭალა . . | 9 | 9 | 9 | 11 | ქობულეთი . | 8 | 54 | 8 | 57 |
| მცხეთა . . | 9 | 32 | 9 | 40 | ნატანები . . | 9 | 25 | 9 | 29 |
| ქსანი . . . | 10 | 03 | 10 | 05 | სუფსა . . . | 9 | 55 | 10 | 2 |
| კასპი . . . | 10 | 33 | 10 | 36 | ლანჩხუთი . | 10 | 35 | 10 | 39 |
| გრაკალი . . | 10 | 59 | 11 | 1 | ნიგოითი. . | 10 | 51 | 10 | 53 |
| გორი . . . | 11 | 25 | 11 | 40 | საჯავახო . | 11 | 14 | 11 | 16 |
| ქარელი . . | 12 | 08 | 12 | 11 | სამტრედია. | 11 | 33 | 11 | 51 |
| გომი . . . | 12 | 37 | 12 | 41 | კოპიტნარი . | 12 | 13 | 12 | 16 |
| ხაშური . . | 1 | 02 | 1 | 17 | რიონი . . | 12 | 47 | 1 | 2 |
| სურამი . . | 1 | 29 | 1 | 32 | აჯამეთი . . | 1 | 15 | 1 | 18 |
| ფონი . . . | 2 | — | 2 | 03 | ყვირილა. . | 1 | 58 | 2 | 10 |
| ბეჟათუბანი. | 2 | 56 | 3 | 16 | ძირულა . . | 2 | 48 | 2 | 50 |
| მარელისი . | 3 | 45 | 3 | 48 | ბელაგორი . | 3 | 17 | 3 | 20 |
| ბელაგორი . | 4 | 15 | 4 | 18 | მარელისი . | 3 | 47 | 3 | 49 |
| ძირულა . . | 4 | 45 | 4 | 48 | ბეჟათუბანი. | 4 | 18 | 4 | 37 |
| ყვირილა. . | 5 | 26 | 5 | 40 | ფონი . . . | 5 | 30 | 5 | 34 |
| აჯამეთი . . | 6 | 14 | 6 | 16 | | ს ა | ღ ა | მ ო | თ ი |
| | ს ა | ღ ა | მ ო | თ ი | სურამი . . | 6 | 2 | 6 | 5 |
| რიონი. . . | 6 | 29 | 6 | 44 | ხაშური . . | 6 | 17 | 6 | 32 |
| კოპიტნარი . | 7 | 08 | 7 | 10 | გომი . . . | 6 | 50 | 6 | 54 |
| სამტრედია . | 7 | 29 | 7 | 49 | ქარელი . . | 7 | 16 | 7 | 19 |
| საჯავახო. . | 8 | 05 | 8 | 07 | გორი . . . | 7 | 44 | 7 | 54 |
| ნიგოითი . . | 8 | 27 | 8 | 30 | გრაკალი. . | 8 | 15 | 8 | 17 |
| ლანჩხუთი . | 8 | 42 | 8 | 46 | კასპი . . . | 8 | 40 | 8 | 43 |
| სუფსა . . . | 9 | 19 | 9 | 27 | ქსანი . . . | 9 | 7 | 9 | 39 |
| ნატანები . . | 9 | 52 | 9 | 55 | მცხეთა . . | 9 | 28 | 9 | 34 |
| ქობულეთი . | 10 | 22 | 10 | 25 | ავჭალა . . | 9 | 52 | 9 | 54 |
| ბათუმი . . | 11 | 13 | — | — | ტფილისი . | 10 | 15 | 10 | 46 |

**ქუთაისიდამ** გადის რიონს შუადღის 12 საათსა და 7 წამზედ და საღამოზედ 5 საათსა და 50 წამზედ.

**რიონიდამ** ქუთაისს მიდის ნაშუადღევის 1 საათსა და 12 წამზედ და საღამოს 6 საათსა და 55 წუთზედ.

ტფილისსა და სურამს შუა

| სტანციები | მოდის საათი. | მოდის წამი. | გადის საათი. | გადის წამი. | სტანციები | მოდის საათი. | მოდის წამი. | გადის საათი. | გადის წამი. |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | დ ღ | ი | ს ი | თ | | ღ ა | მ | ი | თ |
| ტფილისი . | — | — | 3 | 21 | სურამი . . | — | — | 2 | 59 |
| ავჭალა . . | 3 | 46 | 3 | 49 | ხაშური . . | 3 | 11 | 3 | 27 |
| მცხეთა. . . | 4 | 19 | 4 | 25 | გომი . . . | 3 | 50 | 3 | 55 |
| ქსანი . . . | 4 | 49 | 4 | 52 | ქარელი . . | 4 | 24 | 4 | 31 |
| კასპი. . . . | 5 | 24 | 5 | 29 | გორი . . . | 5 | 4 | 5 | 19 |
| გრაკალი . . | 6 | — | 6 | 3 | გრაკალი . . | 5 | 46 | 5 | 51 |
| | ს ა | ღ ა | მ ო | თ ი | | დ ი | ლ | ი | თ |
| გორი . . . | 6 | 31 | 6 | 45 | კასპი . . . | 6 | 18 | 6 | 24 |
| ქარელი . . | 7 | 18 | 7 | 24 | ქსანი . . . | 6 | 55 | 6 | 59 |
| გომი . . . | 7 | 53 | 8 | 1 | მცხეთა. . . | 7 | 24 | 7 | 32 |
| ხაშური . . | 8 | 24 | 8 | 38 | ავჭალა. . | 7 | 55 | 7 | 58 |
| სურამი . . | 8 | — | — | 50 | ტფილისი . | 8 | 24 | — | — |

## განცხადებანი


**№ 4711**

**რეინ-ბუკეტი**

სურნელოვანებათა:

ალპიის ყვავილებისა, ყვითელის იისა, იასამანისა, ვარდ-შროშანასი, ზამბახისა, ოპოპონაქსისა, რეზედასი, რეინის ვარდისა, რეინის იათა, რეინის ყვავილთა და ძურწასი.

ჩინებული მაგარი და იაფი სურნელოვანი წყლები ცხვირსახოცებისათვის.

შუშა ¼ გირვანქიანი ჰღირს
1 მან. 25 კაპ.

ისყიდება რუსეთის ყველა საუკეთესო საპარფიუმერო და საათთიაქო მაღაზიებში. (2—1)

**სომეხთა სასულიერო ნერსესიან სემინარიის ხამზრუნველოში,** 30-ს ნოემბერს, საღამოს სამს საათზე, დანიშნულია ვაჭრობა განუმეორებლად და იჯარით უნდა გაიცეს უძრავი მამული ამ სემინარიისა. ეს მამული შემოწირულია განსვენებულ არუთინ ოქოევის მიერ და მდებარეობს რიყეზე. ყოველივე პირობა შეიძლება შეიტყონ სამზრუნველოს კანცელარიაში ყოველ დღე, გარდა კვირა-უქმე დღისა, დილის ათ საათიდგან 12 საათამდე. 3—1

ისყიდება სოხუმიდამ 24 ვერსზე

**მამული ვორონოვისა**

ათასი დღიური შენობებითა და სამეურნეო მოწყობილობით

ვისაც ჰსურს შეიძინოს ეს მამული, მიჰმართოს დაწვრილებით გარემოების შესატყობად სოხუმში ივანე ვასილის ძეს ენიუტინს. (24—8)

ტფილისის გუბერნიის კეთილშობილთ წინამძღოლი უმორჩილესად სთხოვს თავად-აზნაურობას ტფილისის გუბერნიისას მობრძანდნენ თორმეტს ამ ნოემბრისას, 10 საათზედ დილით, განსაკუთრებითს ტფილისის გუბერნიის თავად-აზნაურობის კრებაზე განსახილველად რომელთამე საგნებისა, შესახებ თავად-აზნაურობის საჭიროებისა.

შეკრებილება შესდგება ტფილისის აზნაურთა დეპუტატთ კრების სადგურში, პუშკინის ქუჩაზედ, მართლ მადიდებლობის სემენარიის სიახლოვეს, ექიმის კუკუჯანოვის სახლებში

ტფილისის გუბერნიის კეთილშობილთ წინამძღოლი, გენერალ-ლეიტენანტი თ. ბაგრატიონ-მუხრანსკი.

წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების

**წიგნთ-საწყობში**

(Дворцовая ул., Караванъ Сарай Земельн. Банка, № 109, 101)

ისყიდება ყოველ კვარი წიგნები, რაც დღემდის დაბეჭდილა ქართულს ენაზე და გასასყიდად კიდევ მოიპოვება, და გარდა ამისა ახლად შეძენილი წიგნები:

| | მან. | კაპ. |
|---|---|---|
| ქართული გრამატიკა, შედგენილი არ. კუთათელაძესაგან . . . . . . . . | ,, | 40 |
| ხუთი ამბავი, საყმაწვილო ამბები. ფრანგულიდამ გადმოღებული ან. თუმანიშვილის მიერ. . . . . | ,, | 15 |
| ორ-მეტყველება, სახელმძღვანელო გრამატიკისა, პ. კვიცარიძისა . . . . . . . . | » | 40 |
| ქადაგებანი გაბრიელ ეპისკოპოზისა I ნაწ. . . . . . . | 1 | 50 |
| II ნაწ. . . . . . . | 1 | 50 |
| ბუნების მოვლენანი, ს. მესტიაშვილისა . . . . . . . | „ | 15 |
| ფშაური ლექსები, გაზ. „ივერიის“ გამოცემა. . . . . | „ | 40 |
| ჰამლეტი, ტრაგედია შექსპირისა, ინგლისურით ნათ. ი. მაჩაბლის მიერ. . . . | ,, | 30 |
| ქადაგებანი და მოძღვრებანი ამბროსი ნეკრესელისა, ალექსანდრე ეპისკოპოზის გამოცემა . . . . . . . | ,, | 50 |
| საბა-სულხან ორბელიანის ლექსიკონი, ალექსანდრე ეპისკოპოზის გამოც. . . . | 3 | „ |
| მცხეთის ტაძარი, გამოც. ლამბაშიძისა . . . . . . . | „ | 25 |
| გენათის მონასტერი, გამოც. აბაშიძისა . . . . . . | „ | 25 |
| საიბიკონი, რ. ხუნდაძისა. . | 1 | „ |
| საახალწლო, ნ. ნიკოლაძისა. | ,, | 40 |
| საქართველოს მეფეებზე, გულისაშვილისა . . . . . | „ | 15 |
| გულივერის მოგზაურობა . | „ | 50 |
| საუკეთესო ცოდნა, გიორგი წერეთლისა, მეორე გამოცემა ზ. ჭიჭინაძისა . . . | ,, | 20 |
| ოტელო, შექსპირის ტრაგედია, ი. მაჩაბლის ნათარგმნი ინგლისურიდამ . . . | ,, | 50 |

**დედა-ენა და ბუნების კარი**

ახლად დაბეჭდილნი ,,წერა-კითხვის საზოგადოების“ მიერ

ისყიდება

„საზოგადოების“ კანცელარიაში.

ბუნების კარი უცვლელად არის დაბეჭდილი, დედა-ენა-კი შეცვლილი და შევსებულია ახალი მოთხრობებით, ლექსებით და სურათებით. ფასი უწინდელია, ესე იგი „დედა-ენა“ ღირს ექვსი შაური (30 კაპ.), ბუნების კარი—თხუთმეტი შაური (75 კაპ.).

ვინც ერთბაშად ნაღდ ფულზე იყიდის ოც-და-ათ ცალს დედა-ენისას, თითო წიგნი დაეთმობა ხუთ შაურად (25 კაპ.); ვინც იყიდის ათს ცალს ბუნების კარისას ნაღდსავე ფულზე, თითო წიგნი დაეთმობა თოთხმეტ შაურად (70 კაპ.), ვინც ოც-და ათს ცალსა,—ცამეტ შაურად (65 კაპ.), ვინც ასსა და მეტსა,—სამ აბაზად (60 კაპ.).

ვისაც ჰსურს ყდაში ჩასმული წიგნი იყიდოს, თითო წიგნზე კიდევ სამი შაური უნდა დაუმატოს.

ვინც ტფილისის გარეშე წიგნს დაიბარებს, გასაგზავნი ხარჯი თვითონ უნდა იკისროს.

მსურველებმა ამ ადრესით უნდა მოჰმართონ კანცელარიას:
Тифлисъ. Въ канцелярію Общества грамотности, Дворцовая ул., домъ Зем. Банка, №№ 109 и 110.


Дов. ценз. Тифлисъ, 9-го Ноября 1888 года. სტამბა ე. გ. მესხისა, (Типографія Е. Г. Месхи). на Фрейлинской ул. пом. Т. Д. З. Банка. რედაქტორ-გამომცემელი ილია ჭავჭავაძე